

ავტომატიზებული ამოცვები სისტემის დიალოგური პროცედურების დამუშავება

იოსებ ქართველიშვილი, თეა თოლევა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

ნაშრომში წარმოდგენილია ხელნაწერი სიმბოლოების ამოცნობის დასტერაში დააღმოვარი პროცედურების დამუშავების საკითხი. ხელნაწერი სიმბოლოების ავტომატიზებული ამოცნობი სისტემის დიალოგური პროცედურა ორი ნაწილისაგან შედგება: სიმბოლოების შედარების პროცენტული მაჩვენებლების მიღება და გრაფიკული ინფორმაციის გადაყვანა ტექსტურ ფორმატში. მომხმარებელსა და სისტემას შორის დიალოგის წარმართვა გულისხმობს სხვადასხვა დიალოგური ფორმის შემუშავებას: ორიგინალი და უცნობი ხელნაწერი სიმბოლოების შედარება, შედარების პარამეტრების დაყენება, ორიგინალი და უცნობი ხელნაწერი სიმბოლოების შედარების ანალიზი, ამოცნობის პარამეტრების დაყენება, სიმბოლოების ამოცნობა და ამოცნობის შედეგი.

საკუნძო სიტყვები: ხელნაწერი სიმბოლოები. ავტომატიზებული ამოცნობა. დიალოგური პროცედურა.


1. შესავალი

ხელნაწერი სიმბოლოების ავტომატიზებული ამოცნობი სისტემაში დღი მნიშვნელობა აქვს დიალოგური რეჟიმების შემუშავებას, სადაც დიალოგის საშუალებით ხორციელდება ურთიერთობა მომხმარებელსა და სისტემას შორის. ავტომატიზებული ამოცნობისას წარმოქმნილი შეცდომების თავიდან ასაცილებლად ძალიან მნიშვნელოვანია მომხმარებლისთვის მარტივი და მოხერხებული ინტერფეისის შექმნა.


ამოცნობი სისტემის დააღმოვარი პროცესის ინიციატორია ადამიანი, რომელიც სახავს მუშაობის მიზანს და ირჩევს მისი მიღწევის საშუალებებს. ადამიანი სკამს ამოცანას, სისტემა გამოყოფს საშუალებებს ამ ამოცანის გადასაწყვეტად და უზრუნველყოფს აღეკვატურ რეჟიმის მომხმარებლის მოთხოვნებზე. ამოცანის გადაწყვეტა ხდება მომხმარებლისა და სისტემის ერთობლივი მუშაობის შედეგად, თუმცა ორიგინალი და უცნობი ხელნაწერი სიმბოლოების შედარების შემდეგ საბოლოო გადაწყვეტილებას მაინც ადამიანი იღებს [1,2]. დიალოგურ სისტემაში იგულისხმება პროგრამების კომპლექსი, რომელიც უზრუნველყოფს ტექნიკური საშუალებებისა და ადამიანების ურთიერთობას. დიალოგური სისტემის საშუალებით უნდა განხორციელდეს დიალოგური გაცვლა, საუბარი და პროცედურები. დიალოგური სისტემის ფუნქციონირებისას, ავტომატიზებული ამოცნობი სისტემაში დიალოგური გაცვლები ერთმანეთის მიმდევრობით. დიალოგის გარკვეული ფუნქციების შესრულებისას გამოიყენება ზუსტად განსაზღვრული მიმდევრობები ისე, რომ გაცვლების თანმიმდევრობის სტრუქტურაა ფიქსირებული. ამოცნობი სისტემის დიალოგური პროცედურა არის დიალოგური სისტემის ნაწილი, რომელიც ზოგად შემთხვევაში შეიცავს მომხმარებლის მიერ ხელით დამუშავების ოპერაციებს, ადამიანი-კომპიუტერის საუბრებს და მანქანურ პროცედურებს.

2. ძირითადი ნაწილი

ხელნაწერი სიმბოლოების ავტომატიზებული ამოცნობი სისტემის დიალოგური პროცედურა ორი ნაწილისაგან შედგება: სიმბოლოების შედარების პროცენტული მაჩვენებლების მიღება და გრაფიკული ინფორმაციის გადაყვანა ტექსტურ ფორმატში. ორიგინალი და უცნობი ხელნაწერი სიმბოლოების შედარების ფორმას აქვს პირველ ნახაზზე ნაჩვენები სახე.



ნახ.1. ორიგინალი და უცნობი ხელნაწერი სიმბოლოების შედარების ფორმა




ნახ.2. შედარების პარამეტრების ფორმა

ფორმის ზედა ფანჯარაში ხდება ორიგინალი გრაფიკული ინფორმაციის, ხოლო ქვედა ფანჯარაში – უცნობი გრაფიკული ინფორმაციის გამოძახება. ორივე ფანჯარაში მომხმარებელს შეუძლია გრაფიკული ინფორმაციის მოხლოება, დაშორება, მათი რიცხობრივი მაჩვენებლების დაყენება და საწყისი პოზიციის აღდგენა. შედარების უზნების [3] გაშვებამდე მომხმარებელმა შედარების პარამეტრები უნდა დააყენოს (ნახ.2).

შედარების პარამეტრების ფანჯარაში შესაძლებელია შემდეგი კომპონენტების დაყენება: View Result In HTML – შედარების შედეგის გამოტანა HTML ფორმატში; View Result In RTF - შედეგის გამოტანა RTF ფორმატში; Result In DOC – შედეგის გამოტანა Microsoft Word-ის დოკუმენტში; Refill Status – სიმბოლოების გარევანი დამატების რიცხობრივი მაჩვენებლის დაყენება; Compare Status – შედარების პროცენტული მაჩვენებლის დაყენება; Default Input Directory Name – შემავალი ხელნაწერი ინფორმაციის

მისამართის დაყენება; Default Output Directory Name – გამომავალი ინფორმაციის მისამართის დაყენება და Default Output File Name – გამომავალი ინფორმაციის ფაილის სახელის დაყენება. ზემოთ მოყვანილი პარამეტრების დაყენების შედეგ შესაძლებელია შედარების უზნების გაშვება და მიიღება ორიგინალი და უცნობი ხელნაწერი სიმბოლოების შედარების (ნახ.3).



ნახ.3. ორიგინალი და უცნობი ხელნაწერი სიმბოლოების შედარების ანალიზის ფორმა

ხელნაწერი სიმბოლოების ამოცნობის ფორმას აქვს მე-4 ნახაზზე ნაჩვენები სახე. სიმბოლოების ამოცნობის ფორმის ფანჯარაში ხდება გრაფიკული ინფორმაციის გამოძახება. შედარების ფანჯარების ანალოგიურად მომხმარებლისთვის შესაძლებელია გრაფიკული ინფორმაციის მოხლოება, დაშორება, მათი რიცხობრივი მაჩვენებლების დაყენება და საწყისი პოზიციის აღდგენა.




ნახ.4. სიმბოლოების ამოცნობის ფორმა

ამოცნობის ფუნქციის გაშვებამდე მომზმარებელმა ამოცნობის პარამეტრები უნდა დააყენოს. ამოცნობის პარამეტრების ფორმა ნაჩვენებია მე-5 ნახაზზე.

ამოცნობის ფორმაში შესაძლებელია შემდეგი პარამეტრების დაყენება: View Result In HTML – ამოცნობის შედეგის გამოტანა HTML ფორმატში; View Result In RTF – შედეგის გამოტანა RTF ფორმატში; Result In DOC – შედეგის გამოტანა Microsoft Word-ის დოკუმენტში; Default Language – შრიფტის დაყენება; Precision – ამოცნობის სიზუსტე; Save Symbol to the temporary DB – ამ რეჟიმის ჩართვისას სიმბოლოები ინახება დროებით მონაცემთა ბაზაში. ამოცნობის დანარჩენი პარამეტრები ანალოგიურია შედარების ფუნქციის დროს განხილული პარამეტრებისა. ამ პარამეტრების დაყენების შემდეგ შესაძლებელია ამოცნობის ფუნქციის გაშვება.

იმ შემთხვევაში, თუ სისტემამ ვერ ამოიცნო რომელიმე სიმბოლო, სისტემა შედის დაალოგში მომზმარებელთან და მომზმარებელი ახალ სიმბოლოს ამატებს მონაცემთა ბაზაში (ნახ.6).




ნახ.5. ამოცნობის პარამეტრების ფორმა



ნახ.6. სისტემასა და მომზმარებელს შორის დაალოგის ფორმა

ამოცნობის პროცესის დამთავრების შემდეგ მიიღება ამოცნობილი სელნაწერი სიმბოლოების შედეგის ფორმა, სადაც გრაფიკული ინფორმაცია გადაყვანილია ტექსტურ ფორმატში. ამის შემდეგ მომზმარებელს საშუალება ეძლევა ტექსტი მისი სურვილისამებრ გადაიყვანოს კომპიუტერში არსებულ ნებისმიერ შრიფტში (ნახ.7).



ნახ.7. ამოცნობის შედეგის ფორმა

3. დასკნა

ნაშრომში წარმოდგენილია ხელნაწერი სიმბოლოების ამოცნობ სისტემაში დიალოგური პროცედურების დამუშავების საკითხი. ხელნაწერი სიმბოლოების ავტომატიზებულ ამოცნობ სისტემაში დიდი მნიშვნელობა აქვს დიალოგური რეჟიმების შემუშავებას, სადაც დიალოგის საშუალებით ხორციელდება ურთიერთობა მომხმარებელსა და სისტემას შორის. ამოცნის გადაწყვეტა ხდება მომხმარებლისა და სისტემის ერთობლივი მუშაობის შედეგად, თუმცა ორიგინალი და უცნობი ხელნაწერი სიმბოლოების შედარების შემდეგ საბოლოო გადაწყვეტილებას მაინც აღამიანი იღებს.

ლიტერატურა:

1. ქართველიშვილი ი., თოდუა თ. ხელნაწერი სიმბოლოების ავტომატიზებული ამოცნობის ძირითადი ამოცანები. ქესე: „კომპ.მეცნ. და ტელეკომ.“ [http://gesj.internetacademy.org.ge/ge/list_aut_artic_ge.php?b_sec=comp.&list_aut=2135. N.6\(29\), 2010](http://gesj.internetacademy.org.ge/ge/list_aut_artic_ge.php?b_sec=comp.&list_aut=2135. N.6(29), 2010)
2. ქართველიშვილი ი., თოდუა თ. ხელნაწერი სიმბოლოების ანალიზი სიმბიმის ცენტრის მეთოდის გამოყენებით. ქესე: „კომპ.მეცნ. და ტელეკომ.“ [http://gesj.internetacademy.org.ge/ge/list_aut_artic_ge.php?b_sec=comp.&list_aut=2135. No.5\(28\), 2010](http://gesj.internetacademy.org.ge/ge/list_aut_artic_ge.php?b_sec=comp.&list_aut=2135. No.5(28), 2010)
3. ქართველიშვილი ი. ორიგინალი და უცნობი ხელნაწერი სიმბოლოების შედარების მინი-მაქსის მეთოდი. სტუ შრ.კრ. №1 (451), 2004.

DEVELOPMENT OF DIALOGUE PROCEDURES OF THE AUTOMATED SYSTEM OF RECOGNITION

Kartvelishvili Ioseb, Todua Tea
Georgian Technical University

Summary

In article the question of processing of dialogue procedures in system of recognition of handwritten symbols is presented. The dialogue system of the automated system of recognition of handwritten symbols consists of two parts: reception of percentage indicators and transfer of the graphic information in a text format. Dialogue between system and the user means development of different dialogue forms: comparison original and unknown handwritten symbols, an establishment of parameters of comparison, the analysis of comparison of original and unknown handwritten symbols, an establishment of parameters of recognition, recognition of symbols and result of recognition.